

სტატიები

ნიცის ხელშეკრულება

ფრანკ-ფლორიან ზაიფერტი*

1. შესავალი: როგორ მოვამზადოთ ევროპული კავშირი გაფართოებისათვის?

ნიცის ხელშეკრულება წარმოადგენს ევროპული გაერთიანებისა და ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების მეოთხე სრულყოფილ ვარიანტს ერთიანი ევროპული აქტის (ძალაშია 1987 წლის 1 ივლისიდან), მასტრიხტის ხელშეკრულების (ძალაშია 1993 წლის 1 ნოემბრიდან) და ამსტერდამის ხელშეკრულების (ძალაშია 1999 წლის 1 მაისიდან) შემდეგ.¹

ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულმა მთავრობათაშორისმა კონფერენციამ (ICG “Conference”) ნიცაში, 2000 წლის 11 დეკემბერს ძალზე რთული მოლაპარაკებების შემდეგ დაასრულა მუშაობა. მიღწეული შეთანხმება მოიცავს ინსტიტუციონალურ საკითხებს, რომლებზეც ვერ შეთანხმდნენ ამსტერდამში (ე.წ. „ამსტერდამის ნარჩენები“)² და რომლებიც უნდა გადაწვეტილიყო გაფართოებამდე და ასევე რაც სხვა იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ არ ეხებოდა გაფართოების თემას.³ ამ შეთანხმებას - „ნიცის ხელშეკრულება, რომელსაც შესწორებები შეაქვს ევროპული კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებებსა და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ აქტებში (2001/C 80/01)“⁴ - ხელი მოეწერა ნიცაში, 2001 წლის 26 თებერვალს.⁵ მისი მთავარი მიზანია ევროპული კავშირის მომზადება ცენტრალურ, აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის სახელმწიფოებით გაფართოებისათვის.⁶ 1998 წლის დასაწყისიდან განვევრინების თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჩეხეთის რესპუბლიკასთან, ესტონეთს, უნგრეთს, სლოვენას, პოლონეთსა და კვიპროსთან, ხოლო 1999 წლის დასასრულიდან ბულგარეთს, ლატვიას, ლიტვას, მალტას, რუმინეთსა და სლოვაკეთთან.⁷ თურქეთის შემთხვევა განსაკუთრებულია, მოლაპარაკებები ეხება მხოლოდ „პარტნიორობას განვევრინებისათვის“.⁸ ჰელსინკისა⁹ და ნიცის ევროპული საბჭოებ-

* ადვოკატი, „ბაუმანი/კრიუგერი/აიდიინგი ადვოკატები“, ვურცბურგი, გერმანია.

¹ ადრეულ შესწორებულ ვერსიებთან დაკავშირებული მოკლე ისტორიისათვის იხ. *Fischer*, *Der Vertrag von Nizza*, Baden-Baden: Nomos, 2001, 15-18; *Schäfer*, *Der Vertrag von Nizza – seine Folgen für die Zukunft der Europäischen Union*, in: Bayerische Verwaltungsblätter 2001, 460-466 (460-461); *Wiedmann*, *Der Vertrag von Nizza – Genesis einer Reform*, in: *Europarecht* 2001, 185-215 (189-191).

² იხ. *Borchmann*, *Der Vertrag von Nizza*, in: *Europäische Zeitschrift für Wirtschaftsrecht* 2001, 171-173 (171-172); *Hatje*, *Die institutionelle Reform der Europäischen Union – der Vertrag von Nizza auf dem Prüfstand*, in: *Europarecht* 2001, 143-184 (143-147).

³ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით იხ. *Fischer* (fn. 1), 23-60, 559-562; *Wiedmann* (fn. 1), 185-189, 191-195.

⁴ ნიცის ხელშეკრულების ტექსტი იხ. ინტერნეტ გვერდზე: „<http://europa.eu.int/eur-lex/en/treaties/index.html> (2002 წლის 5 აპრილი); ინფორმაციისათვის იხ. http://europa.eu.int/comm/nice_treaty/index_en.htm (2002 წლის 5 აპრილი); აგრეთვე, იხ. *Fischer* (fn. 1), 79-261.

⁵ მოკლე მიმოხილვისათვის იხ. *Fischer* (fn. 1), 61-76; *Riedel*, *Reform der EU durch den Vertrag von Nizza*, in: *Juristische Ausbildung* 2001, 821-823.

⁶ იხ. *Gnan*, *Der Vertrag von Nizza*, in: Bayerische Verwaltungsblätter 2001, 449-459 (459); *Wiedmann*, *Anmerkungen zum Vertrag von Nizza*, in: *Juristische Schulung* 2001, 846-851 (846).

⁷ იხ. *von Kyaw*, *Weichenstellungen des EU-Gipfels von Nizza*, in: *Internationale Politik* 2001, 5-12 (11-12).

⁸ იხ. *Fischer* (fn. 1), 249-250; *Wessels*, *Zukunftsfähig? – Die Europäische Union à 27*, in: *Internationale Politik* 2001, 13-22 (13).

⁹ იხ. *Fischer* (fn. 1), 29-30, 35.

სტატიები

ის დასკვნების თანახმად, ევროპულმა კავშირმა 2002 წლის დასასრულიდან უნდა შეძლოს იმ სახელმწიფოების ორგანიზაციაში მიღება, რომლებიც ამისათვის მზად არიან.

2. ნიცის ხელშეკრულება: მნიშვნელოვანი შესწორებანი

სტატიის ძირითად ნაწილში მოცემულია ევროპული კავშირის/გაერთიანებების სამართალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შესწორებების ზოგიერთი ასპექტები:

2.1 ნიცის ხელშეკრულების სტრუქტურა

ნიცის ხელშეკრულება შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან.¹⁰ პირველ ნაწილში წარმოდგენილია ევროპული კავშირის/გაერთიანებების სამართალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი შესწორებები. აღნიშნული ხელშეკრულების 1-ლ მუხლს შესწორებები შეაქვს ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების თხუთმეტ პუნქტში, ხოლო მე-2 მუხლი ცვლის ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 47 სხვადასხვა პუნქტს. მე-3 მუხლი უკავშირდება ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას (შესწორებები 25 პუნქტში), ხოლო მე-4 მუხლი ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას (შესწორებები 19 პუნქტში). მე-5 მუხლის თანახმად, შესწორებას ექვემდებარება ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის და ევროპის ცენტრალური ბანკის დებულების ოქმი. ნიცის ხელშეკრულების მე-6 მუხლი ეხება ოქმს ევროპული გაერთიანებების პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ. მეორე ნაწილის 7-13 მუხლები მოიცავს გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.

აღნიშნულ ორ ძირითად ნაწილს მოსდევს ნიცის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ოქმები. პირველი, ოქმი, რომელიც თან ერთვის ევროპული კავშირის და ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებს: ევროკავშირის გაფართოების შესახებ ოქმი. მეორე, ოქმი, რომელიც თან ერთვის ევროპული კავშირის, ევროპული გაერთიანებისა და ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებებს: ოქმი ევროპული სასამართლოს დებულების შესახებ. მესამე და ბოლო, ოქმები, რომლებიც თან ერთვის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას: ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების ამონაწილის ფინანსური შედეგების შესახებ და ქვანახშირისა და ფოლადის კვლევითი ფონდის შესახებ ოქმი¹¹ და ასევე ოქმი ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 67-ე მუხლის თაობაზე.

ნიცის ხელშეკრულება სრულდება დასკვნითი აქტით. კონფერენციამ მიიღო 24 დეკლარაცია და გაითვალისწინა დასკვნით აქტზე თანდართული დამატებითი სამი დეკლარაცია. უკვე მიღებულ დეკლარაციათა შორის უმნიშვნელოვანესია დეკლარაცია ევროპული კავშირის გაფართოების თაობაზე (დეკლარაცია № 20), დეკლარაცია გაფართოებულ კავშირში კვალიფიცირებული უმრავლესობის ზღვარის და გადანაცვებების მიღებაზე ვეტოს დადების უფლების მქონე უმცირესობის ხმათა რაოდენობის თაობაზე (დეკლარაცია № 20) და დეკლარაცია კავშირის მომავალთან დაკავშირებით (დეკლარაცია № 23).

¹⁰ იხ. *Borchmann* (fn. 2), 171; *Gnan* (fn. 6), 449; *Wiedmann* (fn. 6), 846-847.

¹¹ ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას ვადა გასდის 2002 წლის 23 ივლისს, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 97-ე მუხლის თანახმად. საბჭოს თხოვნით, კომისიამ 2000 წლის სექტემბერში წარმოადგინა გადანაცვებების პროექტი ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების ფონდების ევროპული გაერთიანებისათვის გადაცემის თაობაზე, ამ ფონდების ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ სექტორებში კვლევის განხორციელებისათვის გამოყენების მიზნით. სამართლებრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილად ჩაითვალა ეს საკითხი დარეგულირებულიყო ნიცის ხელშეკრულების თანდართულ ოქმში.

2.2 ნიცის ხელშეკრულება და განსაკუთრებით, მისი მნიშვნელოვანი შესწორებების შესახებ

ერთი მხრივ, ევროპული კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებასა და მეორე მხრივ, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შესწორებები.

2.2.1 ევროპული კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შესწორებები

(1) ძირითადი უფლებები: ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-7 (2) მუხლი (ახალი) თანახმად, ევროპულ საბჭოს შეუძლია სცნოს ძირითადი უფლებების სერიოზული და განმეორებითი დარღვევის ფაქტი. თუ დადგინდა დარღვევის არსებობა, საბჭოს უფლება აქვს შესაბამის ქვეყანას შეუჩეროს გარკვეული უფლებები, ევროპული კავშირის ხელშეკრულების მე-7 (3) მუხლი (ახალი). ნიცის ხელშეკრულებამ ამ პროცედურაში დამატებით შეიტანა პრევენციული მექანიზმი.¹² ნევერი სახელმწიფოების, პარლამენტის ან კომისიის მიერ ერთი მესამედი ხმებით მიღებული წინადადების საფუძველზე, საბჭოს თავის წევრთა ოთხი მეხუთედი ხმების უმრავლესობითა და ევროპარლამენტის თანხმობით, შეუძლია განაცხადოს ნევერი სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების დარღვევის საშიშროების არსებობის შესახებ და მიმართოს ამ წევრ სახელმწიფოს შესაბამისი რეკომენდაციებით, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-7 (1) მუხლი (ახალი). ევროპული სასამართლოს კომპეტენციაში შედის მხოლოდ პროცედურულ დებულებებთან დაკავშირებული დავები ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-7 მუხლის (ახალი) თანახმად და არა ამ დებულების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობის ან სამართლიანობის საკითხის განსჯა, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 46 (E) მუხლის (ახალი).¹³

(2) ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკა: ნიცის ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა თავმჯდომარის ანგარიში¹⁴ ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის თაობაზე, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ევროპული კავშირის სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას, მუდმივი პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურების შექმნას და დასავლეთ ევროპული კავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ფუნქციების შეტანას ევროპულ კავშირში.¹⁵ ვინაიდან, ხელშეკრულების არსებული დებულებების საფუძველზე, ეს არ წარმოადგენს ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის სწრაფად ამოქმედების წინაპირობას, ნიცის ხელშეკრულებას შესწორება შეაქვს ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-17 მუხლში (ახალი), აუქმებს რა ევროპულ კავშირსა და დასავლეთ ევროპულ კავშირს შორის ურთიერთობების განმსაზღვრელ დებულებებს.¹⁶ გარდა ამისა, საბჭომ შესაძლოა უფლებამოსილი გახადოს პოლიტიკური და უშიშროების კომიტეტი (ხელშეკრულებაში მოცემული პოლიტიკური კომიტეტის ახალი სახელწოდება), კრიზისული სიტუაციის მართვაზე და სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაზე ე.წ. „მეორე საყრდენის“ საფუძველზე პოლიტიკური კონტროლის და კრიზისული სიტუაციის მართვის ოპერაციის სტრატეგიული წარმართვის უზრუნველსაყოფად, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 25-ე მუხლი (ახალი).¹⁷

(3) ევროიუსტიცია: კომისიის წინადადების მიუხედავად,¹⁸ კონფერენციას არ დაუმატებია დებულება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ევროპის პროკურორის ინსტიტუტის შექმნას ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დასაცავად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნიცის

¹² იხ. *Fischer* (fn. 1), 88-89; *Gnan* (fn. 6), 458; *Hatje* (fn. 2), 172-173; *Wiedmann* (fn. 6), 847.

¹³ იხ. *Fischer* (fn. 1), 89-90; *Hatje* (fn. 2), 174-175.

¹⁴ იხ. ევროპის უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის შესახებ დეკლარაცია (დეკლარაცია №1).

¹⁵ იხ. *O'Sullivan*, Memorandum to the members of the Commission – Summary of the Treaty of Nice (Brussels, 18 January 2001, SEC (2001) 99), 1-15 (11).

¹⁶ იხ. *Fischer* (fn. 1), 91; *Hatje* (fn. 2), 153; *Wiedmann* (fn. 6), 847.

¹⁷ იხ. *Fischer* (fn. 1), 93-94; *Hatje* (fn. 2), 153; *Wiedmann* (fn. 6), 847.

¹⁸ იხ. *O'Sullivan* (fn. 15), 11.

სტატიები

ხელშეკრულებას დამატება შეაქვს ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 31-ე მუხლში (ახალი), მიუთითებს და განსაზღვრავს „ევროიუსტიციის“¹⁹ ამოცანებს. იგი არის სახელმწიფოს მიერ წარდგენილი მოსამართლეების ჯგუფი, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაზე პასუხისმგებელი ეროვნული ორგანოების სწორი კოორდინაციის ხელშეწყობა,²⁰ ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 29-ე (2) მუხლი (ახალი).

(4) ევროპული საბჭოების შეხვედრების ადგილი: კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია, რომელიც თან ერთვის ნიცის ხელშეკრულებას²¹ და განსაზღვრავს, რომ „2002 წლიდან ევროპული საბჭოს ყოველი შეხვედრა ახალი თავმჯდომარეობით ჩატარდება ბრიუსელში. როდესაც კავშირში იქნება 18 წევრი, ევროპული საბჭოს ყველა შეხვედრა ჩატარდება ბრიუსელში“.²² უნდა აღინიშნოს, რომ ეს დეკლარაცია ეხება ევროპული საბჭოების მხოლოდ ოფიციალურ შეხვედრებს, ხოლო თავმჯდომარეებს უფლება აქვთ მოაწყონ საბჭოს არაოფიციალური შეხვედრები ნებისმიერ ადგილას (ან საერთოდ არ მოაწყონ) საბჭოს იმ არაოფიციალური შეხვედრების შესაბამისად, რომელთა ორგანიზება შეიძლება ე.წ. დანესე-ბულებების ადგილსამყოფელის თაობაზე ოქმით განსაზღვრულის გარდა ყველა სხვა ადგილას.²³

2.2.2 ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შესწორებები

კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია დანესე-ბულებათაშორის შეთანხმებებზე, რომელიც თან ერთვის ნიცის ხელშეკრულებას²⁴ აღნიშნულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ გაერთიანების დანესე-ბულებებს შორის ურთიერთობები რეგულირდება კეთილსინდისიერი თანამშრომლობის ვალდებულებით²⁵ და როდესაც აუცილებელი ხდება ხელშეკრულების დებულებების გამოყენების ხელშეწყობა, ევროპარლამენტს, საბჭოსა და კომისიას უფლება აქვთ დადონ დანესე-ბულებათაშორის შეთანხმებები.²⁶ ამ შეთანხმებებს არ შეუძლიათ ხელშეკრულების დებულებების არც შეცვლა და არც მათში დამატებების შეტანა, მათი დადება შეიძლება მხოლოდ ამ სამ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

2.2.2.1 ინსტიტუციონალურ დებულებებთან დაკავშირებული შესწორებები

(1) ევროპარლამენტი: ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 191-ე მუხლი ითვალისწინებს თანაგადანყვეტილების პროცედურის საშუალებით ევროპულ დონეზე არსებული პოლიტიკური პარტიების დებულებისა და კერძოდ მათ დაფინანსებასთან დაკავშირებული წესების მიღებას, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 191-ე (2) მუხლი (ახალი).²⁷ ევროპული პარლამენტის წევრთა მოვალეობების შესრულების მარეგ-

¹⁹ იხ. *Fischer* (fn. 1), 96-98; *Gnan* (fn. 6), 459; *Hatje* (fn. 2), 153-154; *Wiedmann* (fn. 6), 847-848.

²⁰ იხ. დეკლარაცია ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 31-ე (2) მუხლის თაობაზე (დეკლარაცია № 2).

²¹ იხ. დეკლარაცია ევროპული საბჭოების შეხვედრის თაობაზე (დეკლარაცია № 22).

²² იხ. *Fischer* (fn. 1), 252-253; *Hatje* (fn. 2), 154.

²³ Protokoll über die Festlegung der Sitze der Organe und bestimmter Einrichtungen und Dienststellen der Europäischen Gemeinschaften sowie des Sitzes von Europol (Amtsblatt der Europäischen Gemeinschaften, Nr. C 340 vom 10.11.1997, 112).

²⁴ იხ. დეკლარაცია ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-10 მუხლის თაობაზე (დეკლარაცია № 3).

²⁵ იხ. *Geiger*, EUV/EGV, 3. Ed. 2000, Art. 10 EC Treaty, 179-181 (No. 4-7); *Gnan* (fn. 6), 459.

²⁶ იხ. *O'Sullivan* (fn. 15), 11-12.

²⁷ იხ. *Fischer* (fn. 1), 130; *Gnan* (fn. 6), 454.

სტატიები

ულირებელ ნორმებს და ზოგად პირობებს დაამტკიცებს საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს კვალიფიცირებული უმრავლესობით, გარდა გადასახადებთან დაკავშირებული დებულებებისა, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 190-ე (5) მუხლი (ახალი).²⁸

ევროპულ პარლამენტს, ისევე როგორც საბჭოს, კომისიასა და წევრ სახელმწიფოებს, უფლება ექნება აღძრას საქმე, რათა დაწესებულებათა აქტები ბათილად იქნას ცნობილი კონკრეტული პრობლემის დემონსტრირების გარეშე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 230-ე (2), (3) მუხლი (ახალი)²⁹ და მოითხოვოს ევროპული სასამართლოსაგან წინასწარი დასკვნა ხელშეკრულებასთან საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისობის თაობაზე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-300 (6) მუხლი (ახალი).³⁰

ევროპარლამენტის ვალდებულებები გაფართოვდა თანაგადაწყვეტილების მოქმედების სფეროს გაზრდით³¹ და იმ თანხმობით, რომელიც საჭიროა თანაგადაწყვეტილების პროცესით რეგულირებად სფეროში გაძლიერებული თანამშრომლობის დასამყარებლად.³² ევროპარლამენტს ასევე მოეთხოვება, დააფიქსიროს თავისი პოზიცია, თუ საბჭოს განზრახული აქვს ძირითადი უფლებების სერიოზული დარღვევის საფრთხის არსებობის აღიარება, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 7-ე (2) მუხლი (ახალი).³³

(2) კომისია: კონფერენციამ გადაწყვიტა კომისიის დანიშვნის თაობაზე პროცედურის შეცვლა.³⁴ პრეზიდენტის წარდგენის საკითხი შევა ევროპული საბჭოს კომპეტენციაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს კვალიფიცირებული უმრავლესობით. კანდიდატურას ამტკიცებს ევროპარლამენტი, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 214-ე (2) (ქვპ. 1) მუხლი. ამის შემდეგ საბჭო, რომელიც მოქმედებს კვალიფიცირებული უმრავლესობით და დანიშნულ პრეზიდენტთან შეთანხმებით, ამტკიცებს კომისიის წევრობის კანდიდატ პირთა სიას, რომელიც შემუშავებულია თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 214-ე (2) (ქვპ. 2) მუხლი (ახალი). აღნიშნულის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ საბჭომ ვერ შეძლოს კომისიის წევრის დანიშვნა წევრი სახელმწიფოს მთავრობის წინადადების გარეშე, რომლის მოქალაქეც შეიძლება იყოს ეს პირი.³⁵ ეს გავლენას არ ახდენს იმ პროცედურაზე, რომლის საფუძველზეც დანიშნული თავმჯდომარე, სიაზე თანხმობის მიცემამდე, დაამყარებს პოლიტიკურ კავშირებს თითოეულ მთავრობასთან ახალი კომისიის ჰარმონიული გზით დაკომპლექტების უზრუნველყოფის მიზნით. დაბოლოს, კომისიის თავმჯდომარე და წევრები დაინიშნებიან საბჭოს მიერ, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს კვალიფიცირებული უმრავლესობით, ევროპარლამენტის მიერ კომისართა ჯგუფის დამტკიცების შემდეგ, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 214-ე (2) (ქვპ. 3) მუხლი.

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 217-ე მუხლის ახალი რედაქცია ითვალისწინებს თავმჯდომარის უფლებამოსილებათა გაზრდას, რითაც პოლიტიკური მართვის სადავეები პრეზიდენტის ხელში გადადის, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 217-ე (1) მუხლი (ახალი).³⁶ თავმჯდომარეს უფლება აქვს:

- მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის შიდა ორგანიზაციულ საკითხებზე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 217-ე (1) მუხლი (ახალი);

²⁸ იხ. *Fischer* (fn. 1), 130; *Gnan* (fn. 6), 454.

²⁹ იხ. *Fischer* (fn. 1), 145; *Gnan* (fn. 6), 457; *Hatje* (fn. 2), 176.

³⁰ იხ. *Fischer* (fn. 1), 155; *Gnan* (fn. 6), 457; *Hatje* (fn. 2), 176.

³¹ იხ. *Gnan* (fn. 6), 456; *Hatje* (fn. 2), 178; *Wiedmann* (fn. 1), 211.

³² იხ. *Gnan* (fn. 6), 456; *Hatje* (fn. 2), 162-163; *Wiedmann* (fn. 1), 209-210.

³³ იხ. *Fischer* (fn. 1), 90; *Hatje* (fn. 2), 172-173, 178; *Wiedmann* (fn. 6), 847.

³⁴ იხ. *Fischer* (fn. 1), 132-133; *Gnan* (fn. 6), 455; *Hatje* (fn. 2), 149-150; *Schäfer* (fn. 1), 464; *Wiedmann* (fn. 1), 203.

³⁵ იხ. *O'Sullivan* (fn. 15), 4.

³⁶ იხ. *Fischer* (fn. 1), 135-137; *Gnan* (fn. 6), 455; *Hatje* (fn. 2), 151; *Schäfer* (fn. 1), 463; *Wiedmann* (fn. 1), 203; *Wiedmann* (fn. 6), 849.

სტატიკა

-გაანანილოს თანამდებობები კომისარებს შორის და აუცილებლობის შემთხვევაში, ხელახლა გადაანანილოს ფუნქციები მისი უფლებამოსილების მოქმედების პერიოდში, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 217-ე (2) მუხლი (ახალი);

-ორგანოს კოლექტიური დამტკიცების შემდეგ, დანიშნოს თავმჯდომარის მოადგილეები, რომელთა რიცხვი აღარ განისაზღვრება ხელშეკრულებით, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 217-ე (3) მუხლი (ახალი) და

-მოითხოვოს კომისართა გადაყენება, რაც ექვემდებარება კომისიის მხრიდან დამტკიცებას, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 217-ე (4) მუხლი (ახალი), ე.წ. „*lex Prodi*“.³⁷

(3) სამართლებრივი სისტემა: კონფერენციამ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა ევროპული კავშირის/გაერთიანების სამართლებრივი სისტემაში.³⁸ პირველი ინსტანციის სასამართლოსთან, და კერძოდ მის ვალდებულებებთან დაკავშირებული ძირითადი დებულებები განისაზღვრება ხელშეკრულებით.³⁹ გარდა ამისა, ხელშეკრულება ითვალისწინებს შიდა პალატების შექმნას პირველ ინსტანციაში სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების წარმართვისათვის.⁴⁰ ხელშეკრულებამ გაითვალისწინა უფრო მეტი მოქნილობა სამომავლო სამართლებრივი სისტემის შემუშავებისათვის და გარკვეული საკითხები შეიტანა სასამართლოს დებულებაში,⁴¹ რომლის შესწორებაც შეუძლია საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე და კომისიის ან სასამართლოს მოთხოვნით, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 245-ე მუხლი (ახალი).⁴² ევროპულ სასამართლოს და პირველი ინსტანციის სასამართლოს დებულებების დამტკიცება კვალიფიცირებული უმრავლესობით, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 223-ე (ქვპ. 6) და 224-ე (ქვპ. 5) მუხლები (ახალი).⁴³

ვინაიდან, ევროპული სასამართლოს შემადგენლობაში როგორც ადრე, ისე ახლა შედის ერთი მოსამართლე თითოეული წევრი სახელმწიფოდან, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 221-ე (ქვპ. 1) მუხლი (ახალი), უნდა გადაიდგას ნაბიჯები ორისდიქციის ეფექტიანი და სამართალწარმოების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.⁴⁴ „დიდი პალატა“, რომელიც შედგება თერთმეტი მოსამართლისაგან (მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარისა და ხუთმოსამართლიანი პალატების თავმჯდომარეებისაგან), ზოგადად განიხილავს საქმეებს, რომლებიც დღესდღეობით იხილება პლენარულ სესიებზე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 221-ე (ქვპ. 2) მუხლი (ახალი), ევროპული სასამართლოს დებულების ოქმის მე-16 მუხლის (ქვპ. 2-5) (ახალი).⁴⁵ ხუთმოსამართლიანი პალატების თავმჯდომარეები აირჩევიან სამწლიანი ვადით, რომელთა ხელახლა არჩევაც შეიძლება ერთხელ, ევროპული სასამართლოს დებულების ოქმის მე-16 (ქვპ. 1) მუხლი (ახალი).⁴⁶

პირველი ინსტანციის სასამართლოში შევა სულ მცირე ერთი მოსამართლე თითოეული წევრი სახელმწიფოდან (დებულება ამჟამად ითვალისწინებს 15 მოსამართლეს, ევროპული გაერთიანების დამ-

³⁷ იხ. *Fischer* (fn. 1), 135-137; *Wiedmann* (fn. 6), 849.

³⁸ იხ. *Gnan* (fn. 6), 457; *Hatje* (fn. 2), 164-165; *Lipp*, *Europäische Justizreform*, in: *Neue Juristische Wochenschrift* 2001, 2657-2663 (2657); *Sack*, *Zur künftigen europäischen Gerichtsbarkeit nach Nizza*, in: *Europäische Zeitschrift für Wirtschaftsrecht* 2001, 77-80 (77-78, 80).

³⁹ იხ. *Fischer* (fn. 1), 143; *Hatje* (fn. 2), 165; *Lipp* (fn. 38), 2658-2659; *Sack* (fn. 38), 79.

⁴⁰ იხ. *Gnan* (fn. 6), 458; *Hatje* (fn. 2), 167-168; *Sack* (fn. 38), 78-79.

⁴¹ იხ. ევროპული სასამართლოს დებულების ოქმი, რომელიც თან ერთვის ევროპული კავშირის დამფუძნებელ, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ და ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებებს; *Hatje* (fn. 2), 171-172.

⁴² იხ. *Fischer* (fn. 1), 146; *Sack* (fn. 38), 79.

⁴³ იხ. *Fischer* (fn. 1), 140-142; *Sack* (fn. 38), 79-80.

⁴⁴ იხ. *Fischer* (fn. 1), 138-139; *Hatje* (fn. 2), 168-170.

⁴⁵ იხ. *Hatje* (fn. 2), 169; *Sack* (fn. 38), 79.

⁴⁶ იხ. *Hatje* (fn. 2), 169; *Sack* (fn. 38), 79.

სტატიები

ფუნდებელი ხელშეკრულების 224-ე (1) მუხლი (ახალი), ევროპული სასამართლოს დებულების პროტოკოლის 48-ე მუხლი (ახალი).⁴⁷ როგორც ადრე, მოსამართლეთა რიცხვი პირველი ინსტანციის სასამართლოში (რომელიც აქამდე განისაზღვრებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს დამფუძნებელი გადაწყვეტილებით⁴⁸), შეიძლება შეიცვალოს. უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის ფარგლებს გარეთ სასამართლოს მიერ წარდგენილი მოთხოვნის საპასუხოდ, COREPER (მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი)⁴⁹ დათანხმდა, პირველი ინსტანციის მოსამართლეთა რიცხვი ექვსით გაეზარდა.⁵⁰ ჯერ კიდევ გადასაწყვეტია როტაციის სისტემასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები.⁵¹

ხელშეკრულებაში განსაზღვრულია უფლებამოსილებათა განაწილება ევროპულ სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს შორის, თუმცა შესაძლებელია მათი შეცვლა დებულების საშუალებით, ხელშეკრულების 220-ე (1) მუხლი (ახალი). პირველი ინსტანციის სასამართლო იხილავს საერთო სამართლის საქმეებს ყველა პირდაპირ სარჩელთან მიმართებით (კერძოდ, გადაწყვეტილების გასაჩივრება, ხელშეკრულების 230-ე მუხლი, სარჩელი უმოქმედობის თაობაზე, ხელშეკრულების 232-ე მუხლი, სარჩელი ზარალის ანაზღაურების თაობაზე, ხელშეკრულების 235-ე მუხლი)⁵² გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც მიეკუთვნება სპეციალურ პალატას და რომლებიც დებულების თანახმად თვით სასამართლოს პრეროგატივაა, ხელშეკრულების 225-ე (1) მუხლი (ახალი).

ევროპული სასამართლო იტოვებს ვალდებულებას განიხილოს სხვა საქმეებიც (კერძოდ, სარჩელი მოვალეობების შეუსრულებლობის თაობაზე, ხელშეკრულების 226-ე მუხლი), თუმცა დებულების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციაში შეიძლება შევიდეს საქმეთა ის კატეგორიები, რომლებიც ხელშეკრულების 225-ე მუხლში არ არის ჩამოთვლილი. ამის მიზანი ის არის, რომ სასამართლოს, როგორც ევროპული კავშირის უზენაესი ორგანოს კომპეტენციაში დარჩეს დავების გადაწყვეტა გაერთიანებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.⁵³ კონფერენციამ თხოვნით მიმართა სასამართლოს და კომისიას, უფლებამოსილებათა განაწილების საკითხი განეხილა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სათანადო წინადადებების განხილვა ნიცის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტისათვის.⁵⁴

ევროპული სასამართლო, რომელიც პასუხისმგებელია გაერთიანების სამართლის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფაზე ევროპული კავშირის ფარგლებში, ძირითადად იტოვებს უფლებამოსილებას გამოიკვილოს მისთვის გადაცემული საკითხები წინასწარი განხილვის წესით.⁵⁵ თუმცა, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 225-ე მუხლის თანახმად, დებულების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს შეიძლება დაევალოს წინასწარი განხილვის წესით გადაწყვიტოს ზოგიერთი კონკრეტული საკითხი, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 225-ე (3) მუხლი (ახალი).⁵⁶

საბჭოს უფლება აქვს შექმნას სპეციალური პალატები, რათა პირველი ინსტანციით განხილულ იქნას სარჩელთა გარკვეული კატეგორია სპეციალურ საქმეებზე (მაგ. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში), ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 220-ე (ქვპ. 3), 225a მუხლები (ახალი).⁵⁷ კონფერენცია დეკლარაციის საშუალებით მოითხოვს ასეთი კოლეგიების შექმნაზე

⁴⁷ იხ. *Gnan* (fn. 6), 458; *Sack* (fn. 38), 80.

⁴⁸ Doc. 88/591/EEC, ECSC, EAC, 24/11/1988. იხ. *Geiger* (fn. 25), Art. 225 EC Treaty, 723 (No. 1-5).

⁴⁹ *Geiger* (fn. 25), Art. 207 EC Treaty, 685 (No. 1-3).

⁵⁰ იხ. *Fischer* (fn. 1), 141-142; *O'Sullivan* (fn. 15), 5.

⁵¹ იხ. *Fischer* (fn. 1), 141-142; *O'Sullivan* (fn. 15), 5.

⁵² იხ. *Fischer* (fn. 1), 143; *Gnan* (fn. 6), 457-458; *Sack* (fn. 38), 79.

⁵³ იხ. *Lipp* (fn. 38), 2663; *Wiedmann* (fn. 6), 850.

⁵⁴ იხ. დეკლარაცია ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 225-ე მუხლზე (დეკლარაცია №12); *O'Sullivan* (fn. 15), 5; *Sack* (fn. 38), 79.

⁵⁵ იხ. *Geiger* (fn. 25), Art. 234 EC Treaty, 760-771 (No. 1-41).

⁵⁶ იხ. *Gnan* (fn. 6), 457; *Hatje* (fn. 2), 166-167; *Lipp* (fn. 38), 2658, 2661-2663; *Sack* (fn. 38), 78.

⁵⁷ იხ. *Gnan* (fn. 6), 458; *Lipp* (fn. 38), 2659, 2661, 2663; დეკლარაცია ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 225a მუხლზე (დეკლარაცია №16).

სტატიები

გადაწყვეტილების პროექტის შემუშავებას გაერთიანებასა და მის პერსონალს შორის დავების მოგვარების მიზნით, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 236-ე მუხლი.⁵⁸

სპეციალური კოლეგიების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საკასაციო სარჩელი შეიძლება წარედგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 225-ე (2) მუხლი (ახალი).⁵⁹

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ახალი 229a მუხლი უფლებას აძლევს საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გაერთიანების ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული დავების მოგვარების უფლებამოსილება გადასცეს ევროპულ სასამართლოს.⁶⁰ ასეთი დებულება, ძირითადად, გამოიყენება კერძო პირებს შორის სამომავლო ევროპულ პატენტთან დაკავშირებული დავების მიმართ.⁶¹ საბჭოს ეს გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მიერ მისი მიღების (ე.ი. რატიფიკაციის) შემდეგ.

(4) აუდიტორთა სასამართლო.⁶² ხელშეკრულება გარკვევით განსაზღვრავს, რომ აუდიტორთა სასამართლოს შემადგენლობაში უნდა შედიოდეს თითოეული წევრი სახელმწიფოდან ერთი მოქალაქე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 247-ე (1) მუხლი (ახალი). აუდიტთა სასამართლოს უფლება აქვს შექმნას შიდა პალატები გარკვეული კატეგორიის ანგარიშების ან მოსაზრებების მისაღებად, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 248-ე (4) (ქვ. 3) მუხლი (ახალი).

(5) ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი⁶³ და რეგიონალურ საკითხთა კომიტეტი⁶⁴: კონფერენციამ არ შეიტანა ცვლილება ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა და რეგიონალურ საკითხთა კომიტეტებში ადგილების რაოდენობასა და წევრ სახელმწიფოთა შორის მათ განაწილებასთან დაკავშირებულ საკითხში. ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ ამ კომიტეტთა წევრების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 350-ს, დამფუძნებელი ხელშეკრულების 258-ე (ქვ. 1), 263-ე (ქვ. 2) მუხლები (ახალი), მაგრამ ეს ზღვარი არ ითვალისწინებს ახალი წევრი სახელმწიფოების ადგილებს. ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრების განსაზღვრება შეიცვალა და ახლა ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ კომიტეტი უნდა შედგებოდეს „ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური კომპონენტების წარმომადგენლებისაგან“, დამფუძნებელი ხელშეკრულების 257-ე (ქვ. 2) მუხლი (ახალი). რაც შეეხება რეგიონალურ საკითხთა კომიტეტს, ნიცის ხელშეკრულება გარკვევით განსაზღვრავს, რომ წევრებს უნდა ჰქონდეთ რეგიონალური ან ადგილობრივი საარჩევნო მანდატი ან პოლიტიკურად ანგარიშვალდებული იყვნენ არჩეული ასამბლეის წინაშე, დამფუძნებელი ხელშეკრულების 263-ე (ქვ. 1) მუხლი (ახალი).

(6) ევროპული ცენტრალური ბანკი⁶⁵ და ევროპული საინვესტიციო ბანკი⁶⁶: ნიცის ხელშეკრულებით არ იცვლება ევროპული ცენტრალური ბანკის მმართველი საბჭოს შემადგენლობა (რომელშიც შედიან აღმასრულებელი საბჭოს წევრები და ეროვნული ცენტრალური ბანკების მმართველები), თუმცა იგი უშვებს ცვლილებების შეტანის შესაძლებლობას გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ წესებში (დღესდღეობით, გადაწყვეტილებები მიიღება წევრთა უბრალო უმრავლესობით, თითოეული ერთი ხმის უფლებით, ევროპის ცენტრალური ბანკის დებულების მე-10 მუხლი). ეს ცვლილება მოითხოვს ევროპული საბჭოს ერთსულოვან გადაწყვეტილებას, რომელიც შემდგომში ექვემდებარება რატიფიკირებას წევრი სახელმწიფოების მიერ.

⁵⁸ იხ. *Geiger* (fn. 25), Art. 236 EC Treaty, 773-774 (No. 1-4).

⁵⁹ იხ. *Fischer* (fn. 1), 142-144; *Sack* (fn. 38), 78.

⁶⁰ იხ. *Fischer* (fn. 1), 145; *Gnan* (fn. 6), 458; *Lipp* (fn. 38), 2659, 2661, 2663.

⁶¹ იხ. *Lipp* (fn. 38), 2659, 2661, 2663; *O'Sullivan* (fn. 15), 6.

⁶² იხ. *Fischer* (fn. 1), 146-148; *Gnan* (fn. 6), 458.

⁶³ იხ. *Fischer* (fn. 1), 148-150; *Gnan* (fn. 6), 457; *Wiedmann* (fn. 6), 850.

⁶⁴ იხ. *Fischer* (fn. 1), 152-153; *Gnan* (fn. 6), 457; *Wiedmann* (fn. 6), 850.

⁶⁵ იხ. *Häde*, *Der Vertrag von Nizza und die Wirtschafts- und Währungsunion*, in: *Europäisches Wirtschafts- und Steuerrecht* 2001, 97-102 (97-100).

⁶⁶ იხ. *Fischer* (fn. 1), 153; *Gnan* (fn. 6), 459.

სტატიები

კონფერენციამ აღნიშნა, რომ მმართველმა საბჭომ მაქსიმალურად სწრაფად უნდა წარმოადგინოს თავისი რეკომენდაცია კენჭისყრის წესებში შესწორებების შეტანის თაობაზე. რაც შეეხება ევროპის საინვესტიციო ბანკს, ნიცის ხელშეკრულება ითვალისწინებს დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის და საბჭოს ერთსულოვნების პრინციპით გადანაცვტილების მიღებასთან დაკავშირებული წესების შეცვლის შესაძლებლობას, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 266-ე მუხლი (ახალი).

2.2.2.2 გადანაცვტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული შესწორებები

(1) კენჭისყრა კვალიფიცირებული უმრავლესობით:⁶⁷ ნიცის ხელშეკრულება გარკვეულწილად აფართოებს კვალიფიცირებული უმრავლესობით გადანაცვტილების მიღების მოქმედების სფეროს.⁶⁸ ქვემოთ მოცემულია ის უმნიშვნელოვანესი დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს აღნიშნული მოქმედების სფეროს გაფართოებას ნიცის ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე.⁶⁹

-კავშირის მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების ხელშემწყობი ღონისძიებები, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 18-ე (2) მუხლი (ახალი);

-სამართლებრივი თანამშრომლობა სამოქალაქო საკითხებში, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 65-ე მუხლი (ახალი);

-საერთაშორისო შეთანხმებების დადება მომსახურებით ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების სფეროში, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 133-ე(4) მუხლი (ახალი), გამონაკლისებით;

-სამრეწველო პოლიტიკა, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 157-ე (3) (ქვპ. 1) მუხლი (ახალი);

-ეკონომიკური, ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობა მესამე ქვეყნებთან, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 181a (2) მუხლი, ახალი დებულება იმ ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული, რაც წარსულში ეფუძნებოდა ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 308-ე მუხლს;⁷⁰

-ევროპული პარლამენტის წევრთა მიერ მოვალეობების შესრულების მარეგულირებელი რეგლამენტებისა და ზოგადი პირობების დამტკიცება, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 190-ე (5) მუხლი (ახალი), ფისკალურ რეჟიმთან დაკავშირებული საკითხების გარდა;

-ევროპულ დონეზე არსებული პოლიტიკური პარტიების დებულება, ევროპული გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების 191-ე (2) მუხლის;

-ევროპული სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს პროცედურული წესების დამტკიცება, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 223-ე (ქვპ. 6), 224-ე (ქვპ. 5) მუხლები (ახალი).

⁶⁷ იხ. *Gnan* (fn. 6), 452-454; *Hatje* (fn. 2), 154-156; *Schäfer* (fn. 1), 463; *Wiedmann* (fn. 1), 208-209.

⁶⁸ დებულებათა ნუსხა, რომლებზეც გავრცელდება კვალიფიცირებული უმრავლესობის წესი: ა) კვალიფიცირებული უმრავლესობა ნიცის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ: I. ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 23-ე (2) მუხლი (ქვპ. 1), 24-ე (3), (4) მუხლი (ახალი), II. ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 13-ე (2), 18-ე (2), 65-ე, მე-100 (1), (2), 111-ე (4), 123-ე (4), 133-ე (4), 157-ე (3) (ქვპ.1), 159-ე (3), 181a (2), 190-ე (5), 191-ე (2), 207-ე (2) (ქვპ. 2), 214-ე (2) (ქვპ. 1-3), 223-ე (ქვპ. 6), 224-ე (ქვპ. 5), 247-ე (3) (ქვპ. 1), 248-ე (4) (ქვპ. 5), 259-ე (1), 263-ე (4) მუხლები (ახალი); ბ) დაყოვნებული კვალიფიცირებული უმრავლესობა: მუხლი 62-ე №2 (a), 62 №3, 63 №3 (b) (იხ. დეკლარაცია ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 67-ე მუხლის თაობაზე (დეკლარაცია №5)), 63-ე (ქვპ. 1), №1, №2 (a), 66-ე (იხ. ოქმი ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 67-ე მუხლის თაობაზე), ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 161-ე (3), 279-ე (1) (ქვპ. 2) (ახალი).

⁶⁹ იხ. *O'Sullivan* (fn. 15), 8.

⁷⁰ იხ. *Fischer* (fn. 1), 128-129; *Wiedmann* (fn. 6), 850. იხ. *Geiger* (fn. 25), Art. 308 EC Treaty, 939-943 (No. 1-14.)

სტატიები

რაც შეეხება ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების IV კარის (ახალი) დებულებებს – ვიზები, თავშესაფარი, იმიგრაცია და პირთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები – კონფერენცია შეთანხმდა, რომ კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრაზე გადასვლა უნდა მოხდეს ნაწილობრივ ან მოგვიანებით სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 67-ე მუხლის შესწორება (ახალი), იხ. ამ მუხლის ოქმი) და სხვადასხვა პირობის საფუძველზე (2004 წლის 1 მაისიდან ან ერთიანი წესებისა და ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელი გაერთიანების კანონმდებლობის მიღების შემდეგ).⁷¹

და ბოლოს, კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრაზე გადასვლა სტრუქტურულ ფონდებსა და საინტეგრაციო ფონდების (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 161-ე (3) მუხლი (ახალი)), ასევე ფინანსური რეგლამენტების მიღების საკითხებთან დაკავშირებით (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 279 (1) (ქვ. 2) (ახალი) მუხლი) გადაიდო 2007 წლამდე.

(2) აღნიშნული (1-ლ პუნქტში) – ისევე, როგორც კომისიის მოსაზრებაში⁷² – გათვალისწინებული სიტუაცია, გარკვეულწილად, ბუნდოვანია იმ ხუთი სფეროსათვის, რომლებიც კომისიამ განსაზღვრა ძირითადად:

- საგადასახადო (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 93-ე, 94-ე და 175-ე მუხლები (ახალი)): ნებისმიერი ღონისძიებისათვის ერთსულოვანი გადაწყვეტილების შენარჩუნება.

- სოციალური პოლიტიკა (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 93-ე, 94-ე და 175-ე მუხლები (ახალი)): *status quo*-ს შენარჩუნება. თუმცა, საბჭოს, რომელიც მოქმედებს ერთსულოვნად, შეუძლია გაავრცელოს თანაგადაწყვეტილების პროცედურა სოციალური პოლიტიკის იმ სფეროებზე, რომლებიც კვლავაც ექვემდებარება ერთსულოვნების წესს. ეს „ხიდი“ არ გამოიყენება სოციალური უზრუნველყოფის მიმართ.

- ინტეგრაციის პოლიტიკა (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 161-ე მუხლი (ახალი)):⁷³ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრაზე გადასვლის თაობაზე, მაგრამ ეს არ ამოქმედდება მრავალწლიანი ფინანსური პერსპექტივების მიღებამდე, 2007 წლის 1 იანვარი.

- თავშესაფარსა და იმიგრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკა (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 62-ე, და 63-ე მუხლები (ახალი)): კვალიფიცირებული უმრავლესობის წესის გამოყენება გადაიდო (2004 წ.) და არ შეეხება ამ პოლიტიკის მთავარ ელემენტებს, მაგალითად ე.წ. „ტივორის განაწილება“, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 63-ე (ახალი) მუხლის № 2 (b), ან მესამე ქვეყნებიდან მოქალაქეების შესვლისა და ცხოვრების პირობები, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 63-ე მუხლის № 3 (a) (ახალი).

- ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 133-ე მუხლი (ახალი)):⁷⁴ ეს მოიცავს საერთაშორისო შეთანხმებებზე მოლაპარაკებასა და მათ გაფორმებას მომსახურებით ვაჭრობისა და ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტების სფეროში. აღნიშნული შეთანხმებები იდება კვალიფიცირებული უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება მოიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც მოითხოვს ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებას შიდა წესების მისაღებად ან თუ შეთანხმება ეხება ისეთ სფეროს, სადაც გაერთიანება ჯერ არ შეუსრულებია თავისი ვალდებულებები. გარდა ამისა, კულტურული და აუდიოვიზუალური, საგანმანათლებლო, სოციალური და ჯან-

⁷¹ იხ. Fischer (fn. 1), 111-112; Wiedmann (fn. 6), 848.

⁷² იხ. O'Sullivan (fn. 15), p. 8-9.

⁷³ იხ. Fischer (fn. 1), 125; Wiedmann (fn. 6), 849.

⁷⁴ იხ. Fischer (fn. 1), 116-118; Wiedmann (fn. 6), 848-849.

სტატიები

დაცვის მომსახურების ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული შეთანხმებები კვლავაც წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც ნაწილდება ნევრ სახელმწიფოებს შორის.

(3) დანიშვნა: გარკვეული დაწესებულებებისა და ორგანოების ნევრთა დანიშვნა განხორციელდება კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრის საფუძველზე; ეს ეხება შემდეგი ორგანოების წევრებს:

- კომისია, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 214-ე (2), 215-ე (2), (3) მუხლები (ახალი),

- აუდიტორთა სასამართლო, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 247-ე (3) (ქვპ. 1) მუხლი (ახალი),

- ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 259-ე (1) მუხლი (ახალი),

- რეგიონალურ საკითხთა კომიტეტი, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 263-ე (ქვპ. 4) მუხლი (ახალი),

ასევე, ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკის გენერალური მდივანი/უმაღლესი წარმომადგენელი და საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 207-ე (2) მუხლი (ახალი) და სპეციალური წარმომადგენელი, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 23-ე (2) (ქვპ. 1) (ახალი) მუხლი, იხ. ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 18-ე (5) მუხლი.⁷⁵

(4) თანაგადანყვეტილება: ნიცის ხელშეკრულებამ გააფართოვა თანაგადანყვეტილების მოქმედების სფერო.⁷⁶ ეს პროცედურა⁷⁷ გავრცელდება შვიდ დებულებაზე, რომლებიც ერთსულოვანი კენჭისყრიდან კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრაზე გადავიდა (ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13, 62-ე, 63-ე, 65-ე, 157-ე, 159-ე და 191-ე მუხლები (ახალი), იგივე ხელშეკრულების 116-ე მუხლისათვის (ახალი), ხელშეკრულება ითვალისწინებს თანხმობას). შესაბამისად, საკანონმდებლო ღონისძიებათა უმრავლესობა, რომლებზეც, ნიცის ხელშეკრულების შემდეგ, აუცილებელია საბჭოს მხრიდან კვალიფიცირებული უმრავლესობით გადანყვეტილების მიღება, გადაწყდება თანაგადანყვეტილების პროცედურით. კონფერენციამ არ გააფრცელა თანაგადანყვეტილების პროცედურა იმ საკანონმდებლო ღონისძიებებზე, რომლებიც უკვე ექვემდებარება კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრის წესს (მაგ. სასოფლო-სამეურნეო ან სავაჭრო პოლიტიკაში).⁷⁸

2.2.2.3 გაძლიერებულ თანამშრომლობასთან დაკავშირებული შესწორებები

კონფერენციამ სრულიად შეცვალა დებულებები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ,⁷⁹ კერძოდ, ერთ დებულებაში იმ ათი პირობის ჩამოყალიბებით, რომლებიც საჭიროა გაძლიერებული თანამშრომლობის დასამყარებლად, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 43-ე მუხლი (ახალი), ე.წ. „პუნქტი-ა“.⁸⁰ ვინაიდან ამ ინსტრუმენტის ძირითადი მახასიათებლები თითქმის არ შეცვლილა (როგორცაა პრინციპები, რომელთა არსებობისასაც შეიძლება განხორციელდეს გაძლიერებული თანამშრომლობა როგორც უკიდურესი ზომა, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების (ახალი) 43-ე მუხლი და ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ნევრ სახელმწიფოსათვის, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების (ახალი) 43-ე მუხლი), მნიშვნელოვანი ცვლილებები მაინც შეთანხმდა.⁸¹

⁷⁵ იხ. Geiger (fn. 25), Art. 18 EU Treaty, 59 (No. 6).

⁷⁶ იხ. Wiedmann (fn. 6), 850; Geiger (fn. 25), Art. 251 EC Treaty, 811 (No. 1-2).

⁷⁷ იხ. Geiger (fn. 25), Art. 251 EC Treaty, 812-813 (No. 3-16).

⁷⁸ იხ. O'Sullivan (fn. 15), 9.

⁷⁹ იხ. Fischer (fn. 1), 104-107; Gnan (fn. 6), 455-456; Hatje (fn. 2), 160-163; Schäfer (fn. 1), 464; Wiedmann (fn. 1), 209-211, 214-215; Wiedmann (fn. 6), 848.

⁸⁰ იხ. O'Sullivan (fn. 15), 9.

⁸¹ იხ. Hatje (fn. 2), 160; Wiedmann (fn. 1), 209.

დადგინდა, რომ გაძლიერებული თანამშრომლობის დასამყარებლად აუცილებელი წევრ სახელმწიფოთა მინიმალური ოდენობა იყოს რვა, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 43 (g) მუხლი (ახალი), მაშინ, როდესაც ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ ამისათვის საჭიროა მონაწილეობდეს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა, ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 43 (d) მუხლი (ახალი).⁸² ასე, რომ სახელმწიფოთა მინიმალური ოდენობა, რომელიც საჭიროა გაძლიერებული თანამშრომლობის დასამყარებლად, იქნება კავშირის წევრთა ერთი მესამედი, სამომავლო გაფართოების გათვალისწინებით (კომისიის წინადადების თანახმად).⁸³

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებაში (ე.წ. „პირველი საყრდენის“ ერთი ნაწილი) უარის თქმის შესაძლებლობა გაძლიერებული თანამშრომლობაზე (“ვეტო”, ხელშეკრულების 11-ე (2) (ქვპ. 1-2) მუხლი) გაუქმებულ იქნა. იგი შეიცვალა დებულებით, რომლის საფუძველზეც წევრ სახელმწიფოს შეუძლია წარადგინოს საკითხი ევროპულ საბჭოში, ხელშეკრულების 11 (2) (ქვპ. 1-2) მუხლი (ახალი).⁸⁴ ასეთ შემთხვევაში, საბჭო მაინც მოქმედებს კვალიფიცირებული უმრავლესობით ნებისმიერ წინადადებაზე გაძლიერებული თანამშრომლობის ფარგლებში. გარდა ამისა, როდესაც გაძლიერებული თანამშრომლობა ეხება სფეროს, რომელიც ექვევება თანაგადანყვეტილების პროცედურულ ფარგლებში, საჭიროა ევროპარლამენტის თანხმობა.

ნიცის ხელშეკრულება ითვალისწინებს გაძლიერებული თანამშრომლობას ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში (ე.წ. „მეორე საყრდენი“), ერთობლივი პროგრამის ან ერთიანი პოზიციის განხორციელებისათვის, ხელშეკრულების 27a-27e მუხლები (ახალი).⁸⁵ ასეთი თანამშრომლობა არ ვრცელდება ისეთ საკითხებზე, რომლებსაც აქვს სამხედრო დატვირთვა ან გავლენას ახდენს თავდაცვის სფეროზე, ხელშეკრულების 27b მუხლი (ახალი). ნებართვას გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ გასცემს საბჭო კომისიისაგან შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, კერძოდ, ამ გაძლიერებული თანამშრომლობის ევროპული კავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის კუთხით, ხელშეკრულების 27c მუხლი (ქვპ. 2) (ახალი). საბჭო გადანყვეტილებას იღებს კვალიფიცირებული უმრავლესობით, ხელშეკრულების 27e მუხლი (ქვპ. 2) (ახალი), მაგრამ თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს საკითხის ევროპული საბჭოსადმი გადაცემა, ერთსულოვანი გადანყვეტილების მიღების მიზნით, ე.წ. „განსაკუთრებული შემთხვევების მუხრუჭი“, ხელშეკრულების 23-ე (2) (ქვპ. 2) მუხლი.⁸⁶

რაც შეეხება საპოლიციო და სამართლებრივ თანამშრომლობას სისხლის სამართლებრივ საკითხებში (ე.წ. „მესამე საყრდენი“), „ვეტოს“ გამოყენება გაუქმდა „პირველ საყრდენთან“ დაკავშირებით გაძლიერებული თანამშრომლობისათვის გათვალისწინებული პრინციპის შესაბამისად, ხელშეკრულების 40a (2) (ქვპ. 1-2) მუხლის (ახალი).⁸⁷

2.2.2.4 მოკლედ სხვა შესწორებების შესახებ

(1) ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 144-ე მუხლის (ახალი) საფუძველზე, ნიცის ხელშეკრულება ითვალისწინებს სოციალური დაცვის კომიტეტს, რომელიც შეიქმნა საბჭოს მიერ ლისაბონის ევროპული საბჭოს დასკვნების თანახმად.⁸⁸

(2) ევროპული გაერთიანების ოფიციალური ჟურნალის სახელწოდება შეიცვალა სახელწოდებით „ევროპული კავშირის ოფიციალური ჟურნალი“, ევროპული გაერთიანების დამფუძნე-

⁸² იხ. Geiger (fn. 25), Art. 43 EU Treaty, 117 (No. 7).

⁸³ იხ. Hatje (fn. 2), 160-161; O'Sullivan (fn. 15), 9; Wiedmann (fn. 1), 209.

⁸⁴ იხ. Hatje (fn. 2), 162-163; Wiedmann (fn. 1), 209-210.

⁸⁵ იხ. Fischer (fn. 1), 96; Hatje (fn. 2), 162; Wiedmann (fn. 1), 209.

⁸⁶ იხ. Hatje (fn. 2), 162-163.

⁸⁷ იხ. Hatje (fn. 2), 162-163.

⁸⁸ იხ. Fischer (fn. 1), 122-123.

სტატიები

ბელი ხელშეკრულების 254-ე მუხლი (ახალი).⁸⁹

3. გაფართოების დადებითი მხარეები: ოქმი ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი, თუ როდის და რა თანამიმდევრობით მოხდება კანდიდატი ქვეყნების კავშირში განწევრიანება, ევროპულ პარლამენტში ადგილების ახალი განაწილება, კომისიის ახალი შემადგენლობა და კვალიფიცირებული უმრავლესობის ახალი მნიშვნელობა საბჭოს ფარგლებში განისაზღვრება ნიცის ხელშეკრულებით მხოლოდ თხუთმეტი წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარი კავშირისათვის. ნიცის ხელშეკრულება არ განსაზღვრავს ამ სისტემის შეცვლის პრინციპებსა და მეთოდებს კავშირის გაზრდასთან ერთად.

3.1 ცვლილებები ორგანოთა შიგნით გაფართოების პროცესში: ზოგადი განმარტებები

აღნიშნული პრინციპები და მეთოდები ჩამოთვლილია ოქმში ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ⁹⁰ და თანდართულ დეკლარაციებში, კერძოდ, დეკლარაციაში ევროპული კავშირის გაფართოების თაობაზე (№ 20 დეკლარაცია), რომელშიც განსაზღვრულია წევრი სახელმწიფოების მიერ მისაღები „ერთიანი პოზიცია“,⁹¹ კანდიდატ ქვეყნებთან განწევრიანების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში.⁹² ევროპულ პარლამენტში ადგილების რაოდენობა ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის, საბჭოში მათთვის განაწილებულ ხმათა რაოდენობა და კერძოდ, მომავალში გამოსაყენებელი კვალიფიცირებული უმრავლესობის ზღვარი სამართლებრივად განსაზღვრული იქნება განწევრიანების ხელშეკრულებებში. ოქმი ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ და შესაბამისი დეკლარაციები ითვალისწინებს მხოლოდ 12 კანდიდატ ქვეყანას, რომლებთანაც ფაქტობრივად უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები განწევრიანების თაობაზე.

ნიცის ხელშეკრულებით განპირობებული ცვლილებები, კომისიის შემადგენლობასა და ხმათა დათვლასთან დაკავშირებით, ამოქმედდება მხოლოდ 2005 წლიდან და ევროპარლამენტს ახალი შემადგენლობა ეყოლება 2004 წლის არჩევნების შემდეგ.⁹³ რაც შეეხება იმ კანდიდატ ქვეყნებს, რომლებიც განწევრიანდებიან აღნიშნულ დრომდე, განწევრიანების ხელშეკრულებებით ასევე უნდა განისაზღვროს ევროპარლამენტის წევრთა და კომისართა რიცხვი, საბჭოში იმ ხმათა რაოდენობა, რომლებიც მათ მიეცემა და კვალიფიცირებული უმრავლესობის ზღვარი ახალი წესების ძალაში შესვლამდე. ეს დროებითი დებულებები დაეყრდნობა განწევრიანების თაობაზე მოლაპარ-

⁸⁹ იხ. *Fischer* (fn. 1), 148; *Hatje* (fn. 2), 183.

⁹⁰ იხ. *Fischer* (fn. 1), 185-197.

⁹¹ “ერთიანი პოზიციის” მოკლე მიმოხილვის სახით, ყველა წევრ სახელმწიფოს ნუსხა და ევროპულ პარლამენტში მათი ადგილები (მთლიანად 732), დათვლილი ხმები (მთლიანად 345), წევრები ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტში (მთლიანად 344) და რეგიონალურ საკითხთა კომიტეტში (მთლიანად 344) როგორც დეკლარაციაში ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ (დეკლარაცია № 20) მოიცავს: გერმანია: 99/29/24/24, გაერთიანებული სამეფო: 72/29/24/24, საფრანგეთი: 72/29/24/24, იტალია: 72/29/24/24, ესპანეთი: 50/27/21/21, პოლონეთი: 50/27/21/21, რუმინეთი: 33/14/15/15, ნიდერლანდები: 25/13/12/12, საბერძნეთი: 22/12/12/12, ჩეხეთის რესპუბლიკა: 20/12/12/12, ბელგია: 22/12/12/12, უნგრეთი: 20/12/12/12, პორტუგალია: 22/12/12/12, შვედეთი: 18/10/12/12, ბულგარეთი: 17/10/12/12, ავსტრია: 17/10/12/12, სლოვაკეთი: 13/7/9/9, დანია: 13/7/9/9, ფინეთი: 13/7/9/9, ირლანდია: 12/7/9/9, ლიტვა: 12/7/9/9, ლატვია: 8/4/7/7, სლოვენია: 7/4/7/7, ესტონეთი: 6/4/7/7, კვიპროსი: 6/4/6/6, ლუქსემბურგი: 6/4/6/6, მალტა: 5/3/5/5.

⁹² იხ. *Schäfer* (fn. 1), 464.

⁹³ იხ. *O’Sullivan* (fn. 15), 2.

სტატიები

აკებებში აქამდე გამოყენებულ პრინციპებს, ანუ არსებული სისტემის შეცვლას, თანაბარი ზომის წვერი სახელმწიფოებისადმი თანაბარი რეჟიმის გამოყენების უზრუნველყოფას.

3.2 ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის მე-2 მუხლი: ევროპარლამენტის შემადგენლობა

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ევროპარლამენტში ადგილების ახალი განაწილების თაობაზე, 27 წვერი სახელმწიფოსაგან შემდგარი კავშირის გათვალისწინებით, რომელიც ამოქმედდება მომდევნო ევროპული არჩევნების შემდეგ 2004 წელს.⁹⁴ ევროპული პარლამენტის წვერთა მაქსიმალური რიცხვი (ამჟამად 700) გაიზარდება 732-მდე, ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 189-ე (2) მუხლის (ახალი). არსებული წვერი სახელმწიფოებისათვის განაწილებული ადგილების რიცხვი შემცირდა 91-ით (არსებული 626-დან 535-მდე). მხოლოდ გერმანიამ (99 ადგილი) და ლუქსემბურგმა (6 ადგილი) შეინარჩუნა ევროპულ პარლამენტში წვერების იგივე რაოდენობა, ევროპული კავშირის გაფართოების თაობაზე ოქმის 2.1 მუხლი. თუმცა, ეს შემცირება განხორციელდება მხოლოდ 2009 წელს ასამბლეის არჩევის შემდეგ.

ვინაიდან 2004 წელს კავშირში ჯერ კიდევ არ იქნება 27 წვერი, გადაწყდა, რომ 2004 წელს ევროპული არჩევნებისათვის *pro rata* საწყისებზე ევროპული პარლამენტის ასარჩევ წვერთა რიცხვმა (არსებულ წვერ სახელმწიფოებში და ახალ წვერ სახელმწიფოებში, რომლებთანაც განვერიანების ხელშეკრულებები დაიდება 2004 წლის 1 იანვრისათვის) მიაღწიოს მთლიანად 732-ს (თუმცა ევროპარლამენტის ასარჩევ წვერთა რიცხვი თითოეულ წვერ სახელმწიფოში არ შეიძლება იყოს არსებულზე მეტი), ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 2.2 და 2.3 მუხლები. სავარაუდოდ, ახალი სახელმწიფოები კავშირში შევლენ 2004-2009 წლებში – და შედეგად ევროპარლამენტის დამატებითი წვერების არჩევა მოხდება ამ ქვეყნებში. მოსალოდნელია, რომ ევროპულ პარლამენტში ადგილების მაქსიმალური რაოდენობა, 732 ადგილი, შეიძლება დროებით გაიზარდოს, რათა მოიცვას ევროპარლამენტის წვერები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც ხელს მოაწერენ განვერიანების ხელშეკრულებებს 2004 წლის ევროპული არჩევნების შემდეგ, ევროპული კავშირის გაფართოების თაობაზე ოქმის 2.4 მუხლი.

3.3 ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის მე-3 მუხლი: საბჭოში ხმების დათვლა

კვალიფიცირებული უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების სისტემა შეიცვლება 2005 წლიდან.⁹⁵ მომავალში, კვალიფიცირებულ უმრავლესობად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილება მიიღებს ხმათა განსაზღვრულ ოდენობას მაინც (კვალიფიცირებული უმრავლესობის ზღვარი) და მას დამატაციებს წვერ სახელმწიფოთა უმრავლესობა, ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 3.1(a)(i) მუხლი. შეიცვალა თითოეული წვერი სახელმწიფოსათვის მიცემული ხმების რაოდენობა. ვინაიდან ხმების რაოდენობა გაიზარდა ყველა წვერი სახელმწიფოსთვის, ზრდის მაჩვენებელი შედარებით მაღალია ყველაზე მეტად დასახლებული წვერი სახელმწიფოებისათვის, ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 3.1(a)(i) მუხლი. 15 წვერიან ევროპულ კავშირში ხუთ ყველაზე დიდ წვერ სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ექნება ხმების 60% დღეისათვის არსებულ 55%-ის ნაცვლად.

კონფერენციის ბოლო სტადიაზე დებატების ცენტრში მოექცა კვალიფიცირებული უმრავ-

⁹⁴ იხ. *Gnan* (fn. 6), 456; *Hatje* (fn. 2), 151-153; *Schäfer* (fn. 1), 461.

⁹⁵ იხ. *Gnan* (fn. 6), 449-452; *Hatje* (fn. 2), p. 156-160; *Schäfer* (fn. 1), 462-463; *Wiedmann* (fn. 1), 203-207; *Wiedmann* (fn. 6), 850-851.

სტატიები

ლესობის ზღვრის საკითხი.⁹⁶ კომპრომისი რთული მისაღწევია. ამის მიუხედავად, კვალიფიცირებული უმრავლესობის ზღვარი დადგინდება, განვევრინების ხელშეკრულებებში იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრულია ნიცის ხელშეკრულებით და კერძოდ, დეკლარაციით გაფართოებულ კავშირში კვალიფიცირებული უმრავლესობის ზღვრისა და ვეტოს დადების უფლების მქონე უმცირესობის ხმათა რაოდენობის შესახებ, ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 3.2 მუხლი.

ნიცის ხელშეკრულება ასევე უფლებას ანიჭებს საბჭოს წევრს, მოითხოვოს იმის დადასტურება, რომ კვალიფიცირებული უმრავლესობა წარმოადგენს ევროპული კავშირის მთელი მოსახლეობის მინიმუმ 62%-ს, ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 3.1(a) (ii), (b), (c) მუხლი. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება არ მიიღება. თუმცა, ეს პირობა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იარსებებს მოთხოვნა დადასტურებაზე.

3.4 ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის მე-4 მუხლი: კომისიის შემადგენლობა

კონფერენციამ გადაწყვიტა გადაევადადებინა კომისიის წევრთა რაოდენობის მაქსიმალური ზღვრის დაწესება.⁹⁷ 2005 წლიდან, კომისიის შემადგენლობაში შევა ერთი წარმომადგენელი, თითოეული წევრი სახელმწიფოდან თითო, ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 4.1 მუხლი. ყველაზე დიდი წევრი სახელმწიფოები ამით კარგავენ კომისიის მეორე წევრის შეთავაზების შესაძლებლობას იმის მიუხედავად, თუ რამდენი წევრი სახელმწიფო იქნება მოცემული მომენტისათვის ევროპულ კავშირში. რაც შეეხება პირველ კომისიას, რომელიც დაინიშნება იმ დროს, როდესაც კავშირში იქნება 27 წევრი სახელმწიფო, კომისართა რიცხვი ნაკლები იქნება წევრ სახელმწიფოთა რაოდენობაზე, ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 4.2 მუხლი. კომისართა შერჩევა მოხდება როტაციის სისტემის საფუძველზე, რაც სამართლიანი იქნება ყველა სახელმწიფოსათვის,⁹⁸ ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 4.2 მუხლი.

უფრო კონკრეტულად, 27 წევრი სახელმწიფოსათვის განვევრინების ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, საბჭომ უნდა მიიღოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება კომისართა ზუსტი რაოდენობისა და როტაციის სამართლიანი სისტემის შემუშავების თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ ყველა წევრი სახელმწიფოს მიმართ გამოყენებულ იქნება თანაბარი რეჟიმი და რომ თითოეული კომისიაში დამაკმაყოფილებლად აისახოს წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა დემოგრაფიული და გეოგრაფიული მახასიათებელი, ევროპული კავშირის გაფართოების შესახებ ოქმის 4.3. მუხლი.

4. „ნიცის ხელშეკრულების შემდგომი პროცესი“: „ევროპული კონსტიტუციისაკენ“?

„ნიცის ხელშეკრულება“ დადებულია, ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოები ახლა ე.წ. ნიცის ხელშეკრულების შემდგომ სტადიაზე იმყოფებიან.⁹⁹ რას ნიშნავს ეს? პასუხი უკავშირდება კავშირის მომავლის თაობაზე დეკლარაციის (№ 23 დეკლარაცია) მე-5 პუნქტს. ნიცის ხელშეკრულების შემდგომი პროცესი *inter alia* უნდა მოიცავდეს შემდეგ ოთხ ძირითად საკითხს:

(1) როგორ განხორციელდეს ევროპულ კავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის უფლებამოსილებების უფრო ზუსტად გამიჯვნა და მასზე მონიტორინგი, სუბსიდიარულობის პრინციპის გათვალისწინებით,¹⁰⁰

⁹⁶ იხ. *Fischer* (fn. 1), 190; *Hatje* (fn. 2), 156.

⁹⁷ იხ. *Gnan* (fn. 6), 454-455; *Hatje* (fn. 2), 150; *Schäfer* (fn. 1), 463; *Wiedmann* (fn. 6), 851.

⁹⁸ იხ. *Hatje* (fn. 2), 148-149, 180; *von Kyaw* (fn. 7), 9; *O'Sullivan* (fn. 15), 4.

⁹⁹ იხ. *Borchmann* (fn. 2), 173; *Fischer* (fn. 1), 77; *Gnan* (fn. 6), 459; *Hatje* (fn. 2), 181-182; *Wessels* (fn. 8), 20-22; *Wiedmann* (fn. 1), 213.

¹⁰⁰ იხ. *Schäfer* (fn. 1), 465-466.

სტატიები

(2) ნიცაში დეკლარირებული ევროპულ კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის სტატუსი, კიოლის ევროპული საბჭოს დასკვნების საფუძველზე,¹⁰¹

(3) ხელშეკრულებების გამარტივება მათი მნიშვნელობის შეუცვლელად, მათი აღქმის გაადვილების მიზნით,

(4) ეროვნული პარლამენტების როლი ევროპულ სტრუქტურაში.

ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით, კონფერენციამ აღიარა, რომ აუცილებელია კავშირის და მისი დანესებულებების დემოკრატიული ლეგიტიმურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება და მონიტორინგი, ნევრი სახელმწიფოების მოქალაქეების უკეთესად ინფორმირების მიზნით.¹⁰² ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ე.წ. ევროპული კავშირის „დემოკრატიული ნაკლის“ გამოსწორებისაკენ.¹⁰³

ნევრი სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლების ახალი კონფერენცია გაიმართება 2004 წელს, სადაც განიხილება ზემოთ აღნიშნული საკითხები ხელშეკრულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თვალსაზრისით.¹⁰⁴ უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია არანაირად არ შეუშლის ხელს და არ იქნება გაფართოების პროცესის წინაპირობა. ამასობაში, დღის წესრიგში დადგა „ევროპული კონსტიტუციის“ საკითხი.¹⁰⁵ ეს ის საკითხია, რომელსაც მოითხოვდა კონფერენცია: უფრო ღრმა და მასშტაბიანი დებატები ევროპული კავშირის მომავალთან დაკავშირებით.¹⁰⁶

¹⁰¹ იხ. *Fischer* (fn. 1), 27-28, 35, 263-269, 513-554; *Gnan* (fn. 6), 458-459; *Hatje* (fn. 2), 176-177; *Schäfer* (fn. 1), 464-465; *Geiger* (fn. 25), Art. 5 EC Treaty, 164-167 (no. 4-12).

¹⁰² იხ. კავშირის მომავლის თაობაზე დეკლარაციის მე-6 პუნქტი (დეკლარაცია № 23).

¹⁰³ *Hatje* (fn. 2), 177-179.

¹⁰⁴ იხ. კავშირის მომავლის თაობაზე დეკლარაციის მე-7 პუნქტი (დეკლარაცია № 23); იხ. ასევე *Wiedmann* (fn. 1), 213-214.

¹⁰⁵ იხ. *Hatje* (fn. 2), 182-183; *Hirsch* (fn. 102), 2678.

¹⁰⁶ იხ. კავშირის მომავლის თაობაზე დეკლარაციის მე-3 პუნქტი (დეკლარაცია № 23).